


შპს „ეგრის-აუდიტი“
სარ/ნ SARAS-F-596572



LTD "EGRIS-AUDITI"
REG/N SARAS-F-596572

მისამართი: ქ. სენაკი ჭავჭავაძის ქ #25 ტელ: 555 47 99 26

Adress: chavchavadze str. N25 Tel: 555 47 99 26

აუდიტორული დასკვნა

AUDITOR CONCLUSION

ქ. სენაკი
SENAKI

„-----“ ----- 20

წელი
year

შ.პ.ს. ტელეკომპანია „ეგრისის“ 2019 წლის
საფინანსო-სამეურნეო საქმიანობაზე

შ.პ.ს. ტელეკომპანია „ეგრისის“-ს დირექტორის 2020 წლის 5 თებერვლის №3 წერილისა და ურთიერთხელშეკრულების საფუძველზე შ.პ.ს. „ეგრის“-აუდიტის (ფირმის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-596572) აუდიტორმა ლევთერ ზოფერიამ სერთიფიკატი ზ№6/254, (ინდივიდუალური სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-581044), ჩავატარე შ.პ.ს. ტელეკომპანია „ეგრისის“-ს 2019 წლის წლიური ბალანსისა და საფინანსო ანგარიშების საქმიანობის აუდიტი.

შ.პ.ს. ტელეკომპანია „ეგრისის“ იურიდიული მისამართია ქ. სენაკი ახალგაზრდობის ხეივანი №9; საქმიანობის სახე – ტელემაუწყებლობა.

რეგისტრაციის თარიღი 30 ივნისი 1977 წელი, რეგისტრაციის №56/4-11 სენაკის რაიონული სასამართლოს მიერ.

მინიჭებული აქვს საინდივიდუალური კოდი 239861592

ანგარიშსწორებას ახორციელებს „ლიბერთი ბანკი“

ანგარიშის № GE80LB0113134754564000

დამფუძნებელი 100%-იანი წილით და დირექტორი მერაბი ჩიქობავა.

შეფასებისას ვხელმძღვანელობდი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ეკონომიკის სამინისტროსა და სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ინსტრუქციებით და ნორმებით.

აუდიტორული დასკვნა მოიცავს 2019 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს. განხილულ იქნა მოცემული პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის, მარაგების დებიტორ-კრედიტორების, მოგება-ზარალის ანგარიშგების აუდიტი. წარმოდგენილი დოკუმენტების სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება საზოგადოების დირექტორს. ჩვენ გვევალება ჩატარებული აუდიტის საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შესახებ და გავცეთ შესაბამისი დასკვნა.

აუდიტი წარიმართა აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები მოითხოვს აუდიტის იმდაგვარ დაგეგმვას და ჩატარებას, რომ მივიღოთ დასაბუთებული გარანტია იმისა, რომ შეიცავს თუ არა ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს მტკიცებულების შემოწმებას, ტესტირების საფუძველზე ანგარიშგებაში ასახული თანხების დადასტურების მიზნით. ასევე აუდიტი გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პრინციპებისა და მნიშვნელოვანი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას, აგრეთვე წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების შეფასებას მთლიანად. მჯერა რომ ჩემს მიერ ჩატარებული აუდიტი დასაბუთებულ საფუძველს გვაძლევს დასკვნის შესაძენად.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ფინანსური საქმიანობის ანალიზი მოიცავს ერთ კალენდარულ წელს.

მოცემულ პერიოდში შემოსავალმა შეადგინა სულ 39700 ლარი.

მოცემულ პერიოდში გასავალმა შეადგინა 39500 ლარი.

მათ შორის: შრომის ანაზღაურება – 4500 ლარი. კომუნალური ხარჯები (ელ. კავშირი) – 600 ლარი, ელ.ენერჯის ხარჯები – 3038 ლარი, საიჯარო ქირა – 12 000 ლარი, ტექ. მომსახურება – 50 ლარი, სხვადასხვა ხარჯები – 19912 ლარი. მათ შორის:

– ბიუჯეტის გადასახადები – საშ. გადასახადი – 900 ლარი, ქონების გადასახადი- 881 ლარი, მიწის გადასახადი – 1421 ლარი, მოგების გადასახადი – 12 ლარი, სხვა დარიცხული ვალდებულებები – 1976 ლარი..

საწარმოოს დაერიცხა ძირითადი საშუალებების ცვეთა 14722 ლარი.

არაფინანსური ხარჯი: საწარმოს 2020 წლის 1 იანვრისათვის ერიცხება საკუთარი კაპიტალი სულ 75206 ლარი. მათ შორის: საწესდებო კაპიტალი 2000 ლარი, სარეზერვო კაპიტალი 70729 ლარი.

საანგარიშო პერიოდში საწარმოს მოგება შეადგენს 30 ლარს..


საზოგადოების აქტივებმა საანგარიშო წლის ბოლოსათვის შეადგინა 75332 ლარი. მათ შორის:

- ფულადი საშუალება - 126 ლარი,
- შენობა-ნაგებობა - 16326 ლარი.
- ოფისის აღჭურვილობა - 3333 ლარი
- სატრანსპორტო საშუალებები - 4932 ლარი.
- გადამცემი მოწყობილობები - 49022 ლარი.
- მიწა არასასოფლო სამეურნეო - 1593 ლარი.

წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით საანგარიშო წლის ბოლოსათვის სულ მიმდინარე ვალდებულებებმა შეადგინა 2433 ლარი, მათ შორის: ქონებისა და მიწის გადასახადი 2403 ლარი, მოგების გადასახადი 30 ლარი..

აუდიტორული შემოწმების შედეგად მიგვაჩნია საწარმოს საფინანსო საქმიანობა სწორად არის წარმართული, რის შედეგადაც 2019 წელს გაწეული საფინანსო-სამეურნეო საქმიანობა შეფასდა დადებითად.

შპს „ეგრის-აუდიტი“-ს სენაკის

წარმომადგენელი:  /ო. ტაბალუა/

აუდიტორი:  /ლ. ხოფერია/

